



მატერიალურ - ტექნიკური მომარაგება და ეკოლოგიის მენეჯმენტის ზოგიერთი ასპექტი

რეზიუმე

ნაირა გალახვარიძე

სტუ-ს პროფესორი

E-mail: galachvaridze@mail.ru

თანამედროვე ეტაპზე გარემოს დაცვის ამოცანები უნდა გადაწყდეს კონკრეტული სიტუაციების გათვალისწინებით, რადგან წარმოების უმეტესობა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ გარემოზე უკვე შექმნილია, ან ასე ვთქვათ დაპროექტებულია და წარმოადგენს მთელი სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების მნიშვნელოვან რგოლს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების გარკვეულ მოთხოვნებს. ამასთანავე, მეურნეობის მრავალ დარგში შეუძლებელია უნარჩუნო პროცესების დანერგვა. გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების დონის შემცირების პრობლემისადმი მიდგომის მთავარი მიმართულებაა არსებული საწარმოების აღჭურვა დამატებითი ნაგებობებით, მოწყობილობებით, რომლებიც ამცირებენ მავნე ნივთიერებათა გამონატყორცნებს და არ ეხება ტექნოლოგიურ პროცესებს.

გარემოზე წარმოების ზემოქმედების დონის შემცირების სამ ძირითად მიმართულებას განასხვავებენ:

- მოქმედი საწარმოების აღჭურვა გამწმენდი მოწყობილობებით, წარმოების არსებული ტექნოლოგიის შენარჩუნებით;

- ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა;

- უნარჩუნო ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება პასუხისმგებელი უნდა იყოს არა მარტო მასალების დაგეგმვაზე, ყიდვასა და განაწილებაზე, არამედ მათი მოძრაობის მთელ პროცესზე -მიმწოდებლიდან, მიღებიდან, განმეორებით გამოყენებამდე. მასალების ყიდვამდე განისაზღვრება მათდამი მოთხოვნები, მიიღება გადაწყვეტილება მთელ ნაკეთობაზე, ანდა კომპონენტზე, რომელიც იწარმოება ადგილზე, ანდა გვერდით სხვაგან შეისყიდება.

როგორც წესი მასალების შერჩევის დროს ყურადღება ექცევა ფასს, საიმედოობასა და შეუფერხებელ მიწოდებას და სხვა ტექნიკურ ასპექტებს. გადაწყვეტილების ეკოლოგიური ორიენტირება უნდა ხდებოდეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- რესურსების დეფიციტი;

- გარემომცველი გარემოსათვის მათი მოპოვებისა და გამოყენების შედეგები;

- ალტერნატიული რესურსების გამოყენების შესაძლებლობა;

- რეცირკულაციის უბრალოება (სიმარტივე).

შეიძლება გამოიყოს წარმოების ხელმძღვანელობის გადასატრეფ ამოცანათა ორი სახე, რომლებშიც ყოველთვის წარმოდგენილი უნდა იყოს ეკოლოგიური ასპექტები:

1. საწარმოო სისტემების მოწესრიგება და განუწყვეტელი სრულყოფა;

2. საწარმოო პროცესების ყოველდღიური დაგეგმვა და კონტროლი

საკვანძო სიტყვები: მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ეკოლოგიური მრეწველობა, საწარმოო სისტემები, რეგიონული შტაბი.

გარემო ბუნებრივი გარემოსა და ადამიანის მიერ სახეცვლილ (კულტურული) გარემოს ერთობლიობაა, რომელიც მოიცავს ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფ ცოცხალ და არაცოცხალ, შენარჩუნებულ და ადამიანის მიერ სახეცვლილ ბუნებრივ ელემენტებს, ბუნებრივ და ანთროპოგენურ ლანდშაფტებს.

თანამედროვე ეტაპზე გარემოს დაცვის ამოცანები უნდა გადაწყდეს კონკრეტული სიტუაციების გათვალისწინებით, რადგან წარმოების უმეტესობა, რომლებიც უარყოფითად მოქმედებენ გარემოზე უკვე შექმნილია, ან ასე ვთქვათ დაპროექტებულია და წარმოადგენს მთელი სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების მნიშვნელოვან რგოლს, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების გარკვეულ მოთხოვნებს. ამასთანავე, მეურნეობის მრავალ დარგში შეუძლებელია უნარჩუნო პროცესების დანერგვა. გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების დონის შემცირების პრობლემისადმი მიდგომის მთავარი მიმართულებაა არსებული საწარმოების აღჭურვა დამატებითი ნაგებობებით, მოწყობილობებით, რომლებიც ამ-



ცირებენ მაგნე ნივთიერებათა გამონატყორცნებს და არ ეხება ტექნოლოგიურ პროცესებს.

გარემოზე წარმოების ზემოქმედების დონის შემცირების სამ ძირითად მიმართულებას განასხვავებენ:

- მოქმედი საწარმოების აღჭურვა გამწვანებული მოწყობილობებით, წარმოების არსებული ტექნოლოგიის შენარჩუნებით;
- ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა;
- უნარჩენო ტექნოლოგიური პროცესების დამუშავება.

ყველა ეს მიმართულება წარმოების ეკოლოგიზაციის საფეხურია.

ბოლო პერიოდში კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამსახურები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საწარმოო გეგმების რეალიზაციაში, ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნაში.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილება პასუხისმგებელი უნდა იყოს არა მარტო მასალების დაგეგმვაზე, ყიდვასა და განაწილებაზე, არამედ მათი მოძრაობის მთელ პროცესზე-მიწოდებლიდან მიღებიდან, განმეორებით გამოყენებამდე. მასალების ყიდვამდე განისაზღვრება მათდამი მოთხოვნები, მიიღება გადაწყვეტილება მთელ ნაკეთობაზე, ანდა კომპონენტზე, რომელიც იწარმოება ადგილზე, ანდა გვერდით სხვაგან შეისყიდება.

როგორც წესი მასალების შერჩევის დროს ყურადღება ექცევა ფასს, საიმედოობასა და შეუფერხებელ მიწოდებას და სხვა ტექნიკურ ასპექტებს. გადაწყვეტილების ეკოლოგიური ორიენტირება უნდა ხდებოდეს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- რესურსების დეფიციტი;
- გარემომცველი გარემოსათვის მათი მოპოვებისა და გამოყენების შედეგები;
- ალტერნატიული რესურსების გამოყენების შესაძლებლობა;
- რეცირკულაციის უბრალოება (სიმარტივე).

ასევე საჭიროა გათვალისწინებული იქნას, რომ საქონლით ვაჭრობის გზაზე, ეკოლოგიური სტანდარტების მოთხოვნებზე არარეაგირებადი იმპორტიორი ქვეყნები აწყდებიან (ექმნებათ) ახალი სახის ბარიერებს, ესაა სამრეწველო წარმოების სფეროში ეკოლოგიური პოლიტიკა და კანონმდებლობა მიზანმიმართული განვითარების სტიმულირებაზე. განვითარებადი ქვეყნის წარმოებაში მოთხოვნები საქონლის განმე-

ორებითი გამოყენებასა და უტილიზაციაზე, ანდა საქონლის შესაფუთი მასალების შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ხარჯები, რომლებიც მნიშვნელოვნად გადააჭარბებენ დაბალი თვითღირებულების უპირატესობას.

ბიზნესის ეკოლოგიური პასუხისმგებლობის იდეა დიდი ხანია წარმატებით ხორციელდება დასავლეთ ევროპაში-იქ არსებობს მიზნობრივი ეკოლოგიური მრეწველობა, რომლის ძირითად შემოსავლებს მოაქვს წარმოების ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები. ამ დარგის წლიური ბრუნვა გარემომცველი გარემოს ევროპული სააგენტოს მონაცემებით აღწევს 800-900 მილიარდ დოლარს¹.

მსოფლიო ეკოლოგიური მრეწველობის ზრდის შესაძლებლობანი უკვე შემუშავებული ბაზრების მიერ პრაქტიკულად ამოწურულია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა ეკოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვაში მიაღწიეს იმ დონეს, როცა დღევანდელი განვითარებით ეკოლოგიურ პროექტებში ჩადებული საშუალებების დაბრუნება მოგების სახით არაა მაღალი.

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც კი არსებობს არა მარტო უზარმაზარი მოძველებული სიმძლავრეები, რომლებიც მოითხოვენ როგორც მინიმუმ მოდერნიზაციას, ასევე ეკოლოგიური მრეწველობით არ მოცული სფეროები, ისეთები როგორიცაა საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხება და გადამუშავება, უტილიზაცია და გამოყენების მერე სამრეწველო პროდუქციის გაუნებელყოფა (გაუნეგლობა) და ა.შ.

ეკოლოგიური მრეწველობის განვითარებას საქართველოში ჯერ-ჯერობით აფერხებს, ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის არ არსებობა, რომელიც დასავლეთში განსაზღვრავს დარგის ფორმირებას:

1. სამრეწველო საწარმოების ეკოლოგიური ინიციატივების სახელმწიფო მხარდაჭერა;
2. თანამედროვე ეკოლოგიის არსის გაგება, როგორც სახელმწიფოს მიერ, ისე ბიზნესის მხრიდან.

დღეს საქმიანობის ეკოლოგიური მაჩვენებლები ეფექტიანობის ისეთი კრიტერიუმებით ხდება, როგორიცაა ეკონომიკური და სოციალური. ამის მიუხედავად საქართველოს უმრავლეს საწარმოებში ეკოლოგიაში ჩადებულ ფულს უწინდებურად განიხილავენ მხოლოდ როგორც დანახარჯებს, დაბანდებული სახსრების რეალური დაბრუნების გაუთვალისწინებლად, არ ითვალისწინებენ დაბანდებული სახსრების რეალურ

1. А. В. Анисимов, Экологический менеджмент, Ростов На-Дону „Феникс“ 2009, ст 239.



დაბრუნებას, პროდუქციის ღირებულების ზრდის, პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების შემცირების, იმიჯის გაუმჯობესებისა და გასაღების ახალი ბაზრების გახსნის სახით.

გარდა ამისა თუ დასავლეთ ევროპაში კომპანიებს ეკოლოგიური სტანდარტების დაცვას აიძულებს საბოლოო მომხმარებელი, საქართველოში მომხმარებელი დარწმუნებულია, რომ ეს სახელმწიფო ორგანოების ამოცანაა, ხოლო ბაზარზე მიმოქცევადი ყველა პროდუქცია აპრიორ ეკოლოგიურად სუფთაა, რამდენადაც საწარმო ჯერ კიდევ მუშაობს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს რომელიც მიგვაჩნია მეორეხარისხოვან მოტივად წინა პლანზე გამოდის, მსხვილი საზღვარგარეთული მწარმოებლების მიერ საქართველოში წარმოებული საქონლის შეძენის გადაწყვეტილებათა მიღებისას.

რეიტინგულმა სააგენტოებმა დაიწყეს კომპანიებზე ეკორეიტინგების მინიჭება, რომლებმაც მოკლე პერიოდში სახელი მოიხვეჭა, როგორც კომუნიკაციის ეფექტურმა ინსტრუმენტმა კომპანიებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის.

რეიტინგული შეფასება ენიჭება შემდეგი კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე:

- წარმოებისა და ნედლეულის ეკოლოგიურობა;
- ეკოლოგიური მენეჯმენტი;
- გარემოს დაცვის სფეროში კომპანიის საქმიანობის გამჭვირვალობა.

თითოეული კრიტერიუმისათვის გამოიყოფა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ჯგუფები, რომლებიც კომპანიის ეკოლოგიური საკითხების ასპექტის საერთო განხილვის მახასიათებელია. მაგალითად ნედლეულისა და წარმოების ეკოლოგიურობის დონის შეფასების სააგენტო ცალკე განიხილავს კომპანიის ურთიერთობის ხასიათს პროდუქციის მიმწოდებლებთან, ეკოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად, სამრეწველო საქმიანობის ნარჩენების გამოყენების დონეს გარემოს დაბინძურების ძირითადი მაჩვენებლების რაოდენობას და ხარისხს.

მაჩვენებელთა ჯგუფების შეფასების შემდეგ გარკვეული წონის მინიჭების საფუძველზე მიეკუთვნება საბოლოო რეიტინგული ნიშანი. წარმოების მართვის წინ დგას ამოცანა ტრანსფორმირებულ იქნას რესურსებისა და ხარჯის ყველა სახე, რომელიც პროდუქციაში ტექნიკური პირობების აუცილებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს პასუხობს.

შეიძლება გამოიყოს წარმოების ხელმძღვანელობის გადასატარებელი ამოცანათა ორი სახე,

რომლებშიც ყოველთვის წარმოდგენილი უნდა იყოს ეკოლოგიური ასპექტები:

1. საწარმოო სისტემების მოწესრიგება და განუწყვეტელი სრულყოფა;

2. საწარმოო პროცესების ყოველდღიური დაგეგმვა და კონტროლი

ინვესტიციის დანიშნულება-ოპტიმიზაცია, მოდიფიკაცია ანდა ტექნოლოგიის მთლიანი გამოცვლა მნიშვნელოვანი ხარისხით განსაზღვრავს გაანგარიშებულ, ანდა განსაზღვრულ ხარჯებსა და სარგებელს.

მონიტორინგი საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას ინფორმაცია გარემომცველ გარემოზე წარმოების მავნე ზემოქმედებისა და შეიძლება განხილულ იქნას ადრეული შეტყობინების სისტემის სახით დამაბინძურებლების გამონაბოლქვის ზრდაზე და შესაბამისი ღონისძიებების მიღების აუცილებლობაზე.

ეკოლოგიური მაჩვენებლები შეიძლება გაუმჯობესდეს ეფექტიანი პროფილაქტიკური ღონისძიებების. ნაგებობათა და მოწყობილობათა დათვალიერების დახმარებით, რაც უზრუნველყოფს უფრო მაღალ მწარმოებლურობას, რესურსების შენარჩუნებას ავარიების რიცხვის შემცირებას.

ექვს არ იწვევს პროდუქციის ხარისხისა და მისი დამზადების საყოველთაო უზრუნველყოფის აუცილებლობა. ხარისხის საყოველთაო კონტროლი აუცილებელია დაბინძურების ასაცლებლად და რესურსების ეკონომიისათვის. გარემოს დაცვის საკითხები შეიძლება განხილულ იქნას ხარისხის რგოლში, აგრეთვე სპეციალისტების მიერ შიდა სამუშაოს შესაძლო ავარიებისა და პროდუქტის ეკოლოგიური შედეგების პროგნოზირების ხარისხით.

დადგენისა და გაუონვის რაოდენობის შემცირება (მაგ. მოწყობილობების საჭირო თანმიმდევრობით შეკავების გზით). შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომუშავეები ნათლად გაიზიარებენ გარემოს დაბინძურების შედეგებს და მათი ოჯახების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას

საჭიროა მომუშავეთა ინიციატივა ყველანაირად წახალისებულ იქნას, მათ შორის სხვადასხვა სახის დაჯილდოებით, შრომის პირობებისა და მათი საწარმოების მიერ განხორციელებული დაბინძურების დონის შემცირებით.

ეკოლოგიურად ორიენტირებული ქცევის გამოყენების წახალისების გარდა (ენერგიისა და ნედლეულის ეკონომია) ეკოლოგიური გადამზადების კურსებზე მიმართვა (გაგზავნა) შეიძლება გახდეს სამსახურის დაწინაურების პირობა.

მაგრამ ეკოლოგიურად ორიენტირებული აზროვნება ფორმირდება პერსონალის შერჩე-



ვის, შეკრების სტადიაზე. პოტენციურ მომუშავეებთან გასაუბრების, ანდა ტესტირების დროს რეკომენდირებულია ეკოლოგიური ხასიათის კითხვების დასმა.

მსხვილ კომპანიებში ორგანიზაციული სტრუქტურის ჩარჩოებში მიზანშეწონილია შესაბამისი ქვედანაყოფის შექმნაც კი.

დიდი კომპანიის ჩარჩოებში ბუნებისდაცვითი ქვედანაყოფის შექმნის კონკრეტულ მაგალითად ა.ვ. ანისიმოვს განხილული აქვს იაპონიის ერთ-ერთ მსხვილ ელექტროტექნიკური კომპანიის გარემომცველი გარემოს მდგომარეობის კონტროლის სამსახური.

ყურადსადები და საინტერესოა ამ კომპანიის ჩარჩოებში უკვე თავად ბუნებისდაცვითი საქმიანობის ორგანიზება, ის აიგება მაშინვე მართვის რამოდენიმე საფეხურზე ტერიტორიული და დარგობრივი ორგანიზების პრინციპების გამოყენებით. მთლიანად კომპანიის ჩარჩოებში ყველა საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება დაკავშირებული გარემომცველი გარემოს დაცვაზე ხორციელდება კომპანიის პრეზიდენტის მიერ. კომპანიის ბუნებისდაცვითი საქმიანობის უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელობა გარემოს მდგომარეობაზე ახორციელებს კონტროლის განყოფილების უფროსი. მის ძირითად მოვალეობებში შედის კომპანიის პრაქტიკული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა. ამ სფეროში კომპანიის საქმიანობის გარემოს დაცვის ძირითადი მიმართულებებისა და პროგრამების დამუშავება.

- გარემომცველი გარემოს დაცვაზე რეგიონული და დარგობრივი ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია და მათ მიერ შესაბამისი რეკომენდაციების გამოტანა;

- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებათა წარმოება;

- დაბნეულობის თავიდან აცილების ტექნოლოგიების განვითარებაში ხელშეწყობის გაწევა.

კომპანიაში გამოიყენება კლასიფიკაციის სისტემა არა ცალკეული საწარმოების მხრივ, არამედ უფრო მსხვილი, სამრეწველო კომპლექსის (ერთ რაიონში განლაგებულ ურთიერთდაკავშირებულ საწარმოო ჯგუფებით) კომპანიების ჩარჩოებში. ბუნებისდაცვის მმართველობითი საკითხები ამ დონეზე ხორციელდება რეგიონულ შტაბის საწარმოსთან თანამონაწილეობით. მათ აქვთ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის უფლება მოცემულ რაიონში კომპანიის ბუნებისდაცვის საქმიანობის ყველა ოპერატიულ საკითხზე. ასევე გარემოს დაცვის საკითხებზე კომპანიის დარგობრივი განყოფილების უფროსების რეკომენდაციების გამოტანის უფლება.

რეგიონული შტაბის უფროსები წარმომადგენენ მოცემულ რაიონში კომპანიის უფლებამოსილ წარმომადგენლებს და აწარმოებენ მოლაპარაკებებს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და საზოგადოებასთან.

რეგიონის შტაბის უფროსის დაქვემდებარებაში გამოიყოფა მთავარი კონტროლიორები. ორმაგ დაქვემდებარებაში იმყოფებიან გარემოს მდგომარეობის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელები- გარემოს მდგომარეობაზე კონტროლის განყოფილების უფროსთან და საწარმოთა რეგიონული შტაბის უფროსებთან.

ერთის მხრივ ისინი ახორციელებენ კომპანიის ბუნებისდაცვითი საქმიანობის საერთო მიმართულებების ცენტრის საქმიანობის შესაბამისობაში ხელმძღვანელობას და მეორეს მხრივ ღებულობენ განკარგულებებს რეგიონული შტაბის ხელმძღვანელობიდან, რათა უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სამრეწველო კომპლექსების განლაგების რაიონი.

დარგობრივი განყოფილებების უფროსები წარმომადგენენ თითოეული დარგის კომპანიის საშემსრულებლო ძალაუფლების უმაღლეს რგოლს და ახორციელებენ საწარმოო, ფინანსურ, საკადრო და ტექნოლოგიური საკითხების ხელმძღვანელობას.

გარემოს დაცვის საკითხებთან მიმართებაში (შეფარდებით) მათ ეკისრებათ კომპანიის პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებლობა.

განყოფილებების უფროსებს აქვთ დაქვემდებარებული აპარატი, რომელიც დარგში გარემოს დაცვის საკითხებითაა დაკავებული. ქვედანაყოფების სექციების უფროსებს თითოეულს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეკისრება ბუნებისდაცვით საქმიანობაზე პასუხისმგებლობა. დარგში გარემოს მდგომარეობაზე დამკვირვებელთა თანამდებობაზე ინიშნებიან ქვედანაყოფის დონის თანამშრომლები. მათ ფუნქციებში შედის შესაბამისი კანონების წესების მოწერილობის, სტანდარტის პროექტების დამუშავება, გამწმენდი მოწყობილობების შესყიდვასა და დამონტაჟების ხარჯთაღრიცხვის შედგენა. გამწმენდი მოწყობილობების ექსპლუატაციაზე პასუხისმგებლად ინიშნება სექტორის უფროსის დონის თანამშრომლები.

კომპანიის შიგნით გარემოს საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი სქემატურად შემდეგია.

ა) მთელი კომპანიის ჩარჩოებში კონტროლის განყოფილების უფროსი შეიმუშავებს, ხოლო კომპანიის პრეზიდენტი ამტკიცებს: კომპანიის



გარემოს დაცვის პროგრამებს და მისი რეალიზაციის პასუხისმგებელ პირებს, ინფორმაციული სამსახურების მოდერნიზაციის (საქმიანობის) მიმართულებას, ღონისძიებებს ავარიული შემთხვევების თავიდან აცილებისათვის. გარემოს მდგომარეობას, მეთვალყურეობის პროგრამებს, კადრების მომზადებას, სხვა კომპანიებთან თანამოქმედებას.

ბ) რეგიონულ სამრეწველო კომპლექსების ჩარჩოებში-რეგიონული შტაბის უფროსი საწარმოთა ხელშეწყობით საერთო სახელმწიფოებრივი კანონის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებისა და მითითებების საფუძველზე აგრეთვე კომიტეტის შიგნით არსებული წესებისა და მითითებების, კომპანიის განყოფილების უფროსის რეკომენდაციების შესაბამისად და გარემოს დაცვაზე რეგიონულ კომიტეტზე გამოთქმული აზრის გათვალისწინებით ამტკიცებს კონტროლის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული თითოეული სამრეწველო კომპლექსის გარემოს მდგომარეობაზე შემუშავებულ რეგულირების ღონისძიებებს, სტანდარტებს და ა.შ.

გ) დარგებში-სადაც არსებობს დასაშვები საზღვრებს ზევით ემისიის საფრთხე მუშავდება გარემოს დაცვის ღონისძიებების მსგავსი პროგრამები, რომლებიც დეტალურად ანვითარებენ კომპანიის ბუნების დაცვითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

ეკოლოგიურ პოლიტიკას, დასაქმებისთვისაც კი შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი შედეგები. ზოგიერთი სამრეწველო დარგების საწარმოთა რეკომენდირებული დაბინძურების დონის დაწესების დამავალდებულებელმა განკარგულებებმა შეიძლება ხარჯების ზრდის შედეგად გამოიწვიოს სამუშაო ადგილების შემცირება, მაგრამ მეორე მხრივ წარმოება და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვამ ხელი შეუწყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებში და ეკოლოგიურ ინფრასტრუქტურაში. ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურები, ნარჩენების ლიკვიდაციის დანადგარები,

ფირმებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში ეკოლოგიურ სამსახურებს შეუძლიათ დიდი რაოდენობის კვალიფიციური სპეციალისტებისათვის წარადგინონ სამუშაო.

დაბინძურების შედეგების ლიკვიდაციისა და გარემოს დაცვის საწარმოები წარმოადგენენ ახალი სამუშაოების პოტენციურ წყაროებს, რამდენადაც ამ ვაკანსიებზე მათთვის აუცილებელი იქნება კვალიფიციური სპეციალისტები და ამდენად მათ მოუხდებათ თავიანთი პერსონალის მომზადება და გადამზადება.

გარემომცველი გარემოს პრობლემებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ნარჩენების უტილიზაცია როგორც მათში განსახიერებული მატერიალური და ადამიანთა რესურსების დანაკარგის თავიდან აცილების წყარო, რომლებიც გამოუყენებელი რჩება ამიტომ ნარჩენების უტილიზაცია განიხილება როგორც ტექნიკური და სოციალური ამოცანა.

პარალელი ტარდება მატერიალური ნარჩენების წარმოქმნასა და უმუშევრობას შორის:

- წარმოებისა და მოთხოვნის სისტემები წარმოქმნიან ნარჩენებს;

- შრომის სისტმა, შრომის მწარმოებლურობის ზრდას და დასაქმების ბაზარს დასაშვებად მიაჩნია ზედმეტი მუშაკების გამონთავისუფლება. ამასთან დაკავშირებით მიიჩნევა: უმჯობესია გადახდილ იქნას ნარჩენების სამომხმარებლო თვისებისათვის, ვიდრე გადაყაროთ ისინი და უმჯობესია დასაქმება სუბსიდირებული იყოს ვიდრე უმუშევრებს აუნაზღაურდეს ზარალი.

ამრიგად, თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემას სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა და მისი მართვა შეიძლება იყოს მხოლოდ კომპლექსური. ეკოლოგიური სისტემის მართვის ამოცანა არის ეკოლოგიური უსაფრთხოების მიღწევა მასზე უარყოფით ზემოქმედებათა მინიმუმამდე დაყვანით. ეკოლოგიური უსაფრთხოება ხელს უწყობს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, აგრეთვე საბოლოო ჯამში ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. В.В. Глухов, Т.П. Некрасова „Экологический основы экологий“, Питер, 2003.
2. Майкл Рейнор, Кристенсен Клеитон, Решение проблемы инноваций в бизнесе, Москва 2014
3. А. В. Анисимов, Экологический менеджмент,

- 2009, „Феникс“
4. Гофман К.Г. Экономика природопользования. - М. Наука 1998.
5. Фомичева Е. В. Экономика природопользования: Учебник.- М Изд. дом „Дамков и К“, 2004.



MATERIAL - TECHNICAL SUPPLY AND MANAGEMENT OF SOME ASPECTS OF THE ECOLOGY

Summary

NAIRA GALAKHVARIDZE
GTU Professor
E-mail: galachvaridze@mail.ru

Nowadays, environmental protection objectives to solve a particular situation, because most of the production, which will adversely affect the environment have been created, or so to speak, and the entire agricultural projected important link in the functioning of the mechanism, which ensures certain requirements. At the same time, many of the field can not be waste-free processes. The main direction of approach to the problem of reducing the negative environmental impact of enterprises equipped with additional structures, devices that reduce harmful substances ejects and does not apply to engineering processes.

The environmental impact of a decrease in production in three main areas can be distinguished:

- Equip enterprises with treatment units, maintaining the existing production technology;
- Technological processes;
- Non-waste processing technological processes.

Material-technical department should be responsible not only for the planned materials, purchase and distribution, but also to the entire process from -mimtsodebli, receipt, up to repeated use. Buy materials to determine their requirements, decision-making throughout the product, or the components, which are produced on the spot, or else sheisqideba side.

Typically the selection of materials is focused on price, reliability and uninterrupted supply and other technical aspects. The ecological orientation should be the following factors:

- A shortage of resources;
- The surrounding environment of the extraction and use of the results;
- it use Alternative resources;
- Recirculation simplicity (simplicity).

There are two kinds of production management solvable problem, which always must be present ecological aspects:

1. production systems and continuous improvement;
2. Daily planning and control of manufacturing processes